

კედეპცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

კანტორა კედეპციისა: მელიქიშვილის სტამბაში, მანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწმარა: მიიღება კანტორაში. მარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. ВЪ редакцію газ. „Дროზა“.

გაზეთის ღირსი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ჟორჯელ დღე ორშაბათს გარდა

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხუ. ენებზე.

ზასი განცხადებისა: დიდ ასაკებით ასობზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივს ციციროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაშრათ

კედეპციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. წაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

უპოვრეზად ვთხოვთ იმ ჩვენს აგანტებს, რომელთაც კედეპციასთან თავიანთ ხელის-მოწმარების ანგარიში ჯერ კიდევ გასწორებული არა აქვთ, რაც უმიძღვრა მალე გაასწოროს ანგარიში და ხვედრი უფლი გაზეთისა გამოგზავნონ კედეპციაში.

მელიქიშვილისგან გაგზავნილი ჯარი მრეცნის ატრიალს შეუერთდება, მაშინ თვითონ ტერ-ლეკასოვი აპირებს ოსმალების თავ-დასხმას იქ, საცა ისინი იქნებიან.

პეტერბურში, 23 ივლისს. მამოცხადებულია შიშლიესი ბრძანება, რომლის ძალითაც რუსეთის ხალხში უნდა მოგროვდეს 185,467 კაცი პირველი გაყოფილების სახელმწიფო ოპოლჩენისა.

ლონდონი, 25 ივლისს. ინგლისში გაგზავნა შალტის კუნძულზე 500 ტონნი ყუმბარები.

პარიში, 25 ივლისს. პარიჟის გაზეთს „Times“-ს და აგრეთვე ლონდონის ზოგიერთ გაზეთებს ბეილინიდამ და მენი-დამ მოუყიდათ ცნობა, რომ სერბია ემზადება რუს-ოსმალის ომში მონაწილეობა მიიღოს. ამბობენ, რუსეთმა სთხოვა ავსტრიასაო, რომ ნუ დაუშლის სერბიას ომში გარეგან და ბერმანიაშიც ურჩია ავსტრიას, რომ რუსეთის თხოვნაზე დათანხმდეს.

გაურიგებია-რა და ბოლოს ისიც იტყულებული შეიქნა, რომ უკან დაბრუნებულიყო.

„მრეცნის ატრიალი, რომელმანც ამ ბრძოლაში ყველაზე უფრო გამოიჩინა თავი და რომელსაც ამასთანავე ყველაზე უფრო მომეტებულიც დადაწვდა, ეს ატრიალი ამ ქაზად რუეთის სამხედარში დგას (იგდირში).

„ამნაირად, როგორც ხედავთ, ჩვენნი მდგომარეობა მცირე აზიაში სანატრელი მდგომარეობა არ არის; სულ ტყეილ-უბრალოთ ჩაიარა სამმა თვის შრომამ და მსხვერპლმა! ახლა ხელ-ახლად უნდა დაიწყოს საქმე, ახალი შრომა დაგვიტრდება, ახალი მსხვერპლი!

„ვისი ბრალია ეს? შევლვან, საცა კი არ შევხვდით ჩვენ მტერს, ყველგან იმათი ჯარი ორჯერ და ზოგან სამჯერაც უფრო მომეტებული იყო რიცხვით, ვინც ჩვენი ჯარი ამას გარდა ოსმალეთის არმიას ერთი-ორად უკეთესდ თოფ-თარაღდ აქვს, ვინც ჩვენსას.“

სვეციალური მცირე აზიელი კორრესპონდენტი ლონდონის გაზეთის „Daily Telegraph“-ისა შემდეგ ტელეგრაფში იწერება 19 ივლისს არზრუმშიდამ:

„ოსმალის (მუნთარ-ფაშას) არმია ძალიან გამაგრებულს ალაგებზე დგას მიზინკეთან და ალაჯადლის სიმალეებზე. ამ დღებში ოსმალის ცხენოსანმა ჯარმა დაათვალიეთა რუსის ბანაკებო და ამ დროს თითქმის რუსის სამხედვარამდინ მივიდა. ძველი სომხეთის სატანტო ქალქი—ანი—რუსის ჯარებისაგან არის დაჭერილი.

მეორე ლონდონის გაზეთი „Daily News“, რომელიც რუსეთის მომხრე გაზეთად ითვლება, შემდეგ ამბავს გვაცნობებს იმ ბარბაროსობაზე, რომელმაც ამ გაზეთის კორრესპონდენტის სიტყვით, ოსმალის ჯარს ჩაუდენია იმ ალაგებში, რომელიც რუსებს დაეტოვებინათ და ოსმალეებს ხელ-ახლილ დაეტოვრათ:

„ქარსის ახლო-მახლო სოფლებში ოსმალოები ძალას ატანენ მცხოვრებლებს, რომ მოაწერონ ხელი იმ პროტოკოლს, რომელიც რუსების ვითომ ბარბაროსობაზედ არის შედგენილი. ალაგების, ზაიშისა და ზარისტატის მცხოვრებლებს მოაწერინეს უკვე ხელი იმ ქა-

ტელეგრაფები

(ოფიციალური)

ბრძოლის ველიდა

არტაანი, 54 ივლისს. პოლკოვნიკი პომაროვი დახვდა დღეს 2,000 კაცს ოსმალოს ატრიალს, რომელიც გამაგრებული იყო ძნელად ასაღებ აულებში საიზარში და დიშტირში. დამარცხა ეს ატრიალი და აიღო იერიშით იმათი საბანაკო ადგილები. ამ დროსვე მოულოდნელად გამოჩნდა პოლკოვნიკი თ. ბარიათინსკი ორი ბატალიონით და სრულად გააქცია ოსმალის ჯარები.

ჩვენის მხრით მოკლულია—2, დაჭრილი—4.

მტერმა 30 მკედარი დასტოვა ბრძოლის ველზედ.

ამის შემდეგ ჩვენი ჯარი თოფის გაუსროლოვლად დაბრუნდა დილორში საცა ღამე გაათა.

ახალქალაქი, 25 ივლისს. წენერალ-ადიუტანტმა ლორის-მელიქიშვიმა მიიღო ცნობა, რომ ზემო-მეფრატისაკენ დაბანაკებული დიდ-ძალი ჯარი ოსმალებისა გამოსულა იქიდან და მარაგნასარაის გადასვალზე მიდის და ამის გამო 23 ივლისს გაგზავნა იქითკენ (ხაჯი-ბაირამიდან შულფისაკენ) 7 ბატალიონი ქვევითა ჯარი, 2 პოლკი ცხენოსანი და 12 წარბაზანი. შულფთან უნდა მოხდეს შეტაკება, თუ მტერმა ბარში ჩამოსვლა გაბედა: თუ არა და, როცა ეს ლორის-

ოქის აგებები

აზიის ბრძოლის ველიდა

რუსულ გაზეთს „Вечерная газета“-ს მოჰყავს შემდეგი მოსაზრება მცირე აზიაში მომქმედ რუსის არმიასზედ:

„მთელ ძვეკასიის არმიას შეადგენდა ოთხი დივიზია და ამ არმიით დავიწყეთ ჩვენ საქმე მცირე აზიაში. პლანი კარგი გვექნა: ამ ჯარით უნდა ავეელო ჩვენ შარსი, უნდა ავეელო ბაიანეთი, უნდა დავეყაყრა მთელი შურთისტანი, ერთის სიტყვით—გვიდოდა მთელ მცირე აზია დავემორჩილებინა.

„მაგრამ ბოლოს რა გამოვიდა? პირველ ივლისს ჩვენი ჯარი იტყულებული შეიქნა შარსს მოშორებოდა. მუნთარ-ფაშამ დაამარცხა საღანლულისაკენ (ზინთან) ჩვენი მთავარი ატრიალი და დაუბრკოლებლივ მოვიდა 33 ბატალიონი ჯარით შარსთან. ბათუმთან ღენერალ აკოლობჟიოს, თავის რიონის ატრიალით, არაფერი არა

ლალდზე, რომელსაც სულთანს უნდა წარუდგინონ და რომელშიაც ჩამოთვლილია ის ბარბაროსობა და მხეცური ქცევა, რომელიც აქ ვითომ ჩაუდგინა რუსის ჯარს. მრთი მცხოვრებელი ზაიმისა სასტიკად დასაჯეს და იმის ცოლი გააუბატოურეს მხოლოდ იმისთვის, რომ ამ კაცს არ უნდოდა ზემოხსენებულ პროტოკოლზე ხელის-მოწერა.“

მრთს ნემეცურს გაზეთში („ბირშის აკენტობაში“) დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამა 15 ივლისს შოთიდან მიღებული:

„ღენერალ აკოლბეიოს რიონის ატრიალი ისევ თავის ძველ ბანაკზე დგას მუხა-მსტატის სიმალღებზედ. მითქმის ყოველ დღე აგზანთან თითო-ორიოლა ბაჯალიონს ამ ატრიალიდამ მტრის ბანაკისა და იმის მოძრაობის დასათვლიერებელად; ეს ჯარები გადადიან მდინარე ატყუაზე, მიდიან ჩურუქ-რუსაკენ და შემდეგ ისევ მუხა-მსტატეში ბრუნდებიან. მთავარი კვარტირა ამ ატრიალისა ამ ქამალ მსურვეთშია.“

მეროპის ბრძოლის ველიდამ

ინგლისური გაზეთის „Daily News“-ის სტამბოლის კორრესპონდენტი 13 ივლისიდან იწერება შემდეგ დებეშას:

„ღეს აქ (სტამბოლში) მთავრობამ გამოაცხადა, რომ რუსის ჯარმა შიბკოს გასაღვლია და ბალკანზე გადმოვიდა. მსმალოს ჯარები ჩილიპოპოლისაკენ წასულან. მსმალოს ჯარები ძალიან მარჯვეთ ყოფილან და ბევრიც დახაკილან ბალკანის მთებში შეტაკების დროს. პორტას ალი-ფაშისათვის მიუხდვია და ჯა სის ჯოვოს კამენდანტის ჰამდი-ფაშისა, რომელმანც ეს ციხე-ქალაქი რუსებს დაუთმო.“

ადულ-ქერიმ-ფაშის მოადგილეთ დანიშნულმა ლუნაის არმიის უფროსმა მეჰმედ-ალი-ფაშამ გამოსცა ცირკულიარი, რომელშიაც მჭევრმეტყველურის სიტყვებით უცხადებს თავის ჯარს, რომ ან უნდა ყველანი აქ დაჯიხონ ცნეთ და ან უნდა გაედვენოთ აქედამ რუსის ჯარებო.

ნემეცი შტრეკერი ამ არმიის არტილერიის უფროსად დაუნიშნავს მეჰმედ-ფაშას.

პეტერბურის ნემეცურს გაზეთში დაბეჭდილია ვენიდან 19 ივლისს მიღებული ტელეგრამა, რომელიც გვაცნობებს, რომ მიდჰხად-ფაშის მინდობილება მსმალეთის მმართველობისაგან იმაში მდგომარეობს, რომ ინგლისი და ავსტრია მოეხმარონ პორტას, როცა რუსეთთან მორიგებზე ჩამოვარდება ლაპარაკი. მსმალეთიც თავის მხრით ჰპირდება

ბა ამ სახელმწიფოებს, რომ ის უშაბოთ არ შეუტრიადება რუსეთს, არავითარ პირობას არ მოიღებს და არც მისცებს გინდ გამარჯვოს ამ ომში და გინდ წაგოს.

ინგლისური გაზეთის „Standard“-ის კორრესპონდენტი შემდეგ ამბავს იწერება იმ ბრძოლის თაობაზე, რომელიც ამ თვის 8-სა (20) მომხდარა პლევნასთან:

„ამ დღეს ერთი პოლკი ყაზახებისა, რომელიც რუსის ქვევითა ატრიალის წინ მოდიოდა, დილით აღრიანათ შევიდა პლევნაში და თოფ-იარაღი დაყრევინა ქალაქის მაჰმადიან მცხოვრებლებს. შუადღეზე მიდინიდან მოვიდა 20,000 კაცი, რომელსაც წინ მსმალ-ფაშა მოუძლოდა. ჰაზახებს არ შეუტყვიათ ამ ჯარის მოსვლა; როგორც სჩანს, ეს ჯარი არ შეუნიშნავთ აგრეთვე არც ღენერალ შნელდენ-შულდენერის ბრიგადას, რომელიც წყნარად, მშვიდობიანათ მოდიოდა ამ ქალაქის დასაჭერად. ამ დროს უყურად მსმალოს ჯარმა საშინელი სროლა შეჰქმნა; რუსები ძლიერ მოვიდნენ გონზე. შეიქნა ფიცხელი შეტაკება. მაგრამ რადგან რუსები კარგ საბრძოლველ ალაგზე არ იყვნენ გამართულნი, ამის გამო ვერ გაუძლეს მტერს და იძულებული შეიქნენ უკან დაეწიათ.

ჩემი ჰაზრი ეს არის, ამბობს ხსენებული გაზეთის კორრესპონდენტი, რომ სანამ ოსმალთებს პლევნა, რუსჩუი, შუმლა მარნა და სილისტრია უჭირავთ ხელში, მანამ რუსები არ უნდა წავიდნენ წინ, იმათ არ უნდა მიეშურებოდეს სტამბოლისაკენ.“

მეროპის ბრძოლის ველიდამ ერთს ფრანკულს გაზეთში იწერებიან, რომ ბოლგარიდამ დიდ-ძალი ხალხი გავიდა ამ უკანასკნელ დროს სამზღვარ გარეთო და განსაკუთრებით ოსმალთები მირბიან ჩილიპოპოლში, ადრანოპოლში და თვით სტამბოლშიაო. მუდამ დღე რკინის გზის ვაგონები სავსეა ამ გაქცეული ხალხითა და იმათი ბარგითაო; ერთის სიტყვით, ძალიან დაფეთებული არიანო. ზოგიერთები შუმლისა და მარნის ციხეებში იხიზნებიანო.

ზოგიერთს უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებოდნენ ამას წინათ, რომ რუსეთის არმიაში, ლუნაზე, ძალიან ბევრი პრუსიის აფიცრები არიანო. ამის თაობაზე ბერლინის გაზეთებში დაბეჭდილია ოფიციალური ცნობა, რომ ამ უკანასკნელ დრომდინ, რუსის სამხედრო მთავრობა საზოგადოთ სულ არ იღებდა უცხო ქვეყნის აფიცრებს თავის არმიაში; მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს დაიწყო თითო-ორიოლა აფიცრის მიღება სხვა ხალხებიდამ და ამათში ურევია აგრეთვე

სამსახურიდამ გადამდგარი რომდენიმე აფიცრიც.

ბერლინელი კორრესპონდენტი „პეტერბურის უწყებებისა“ იწერება, რომ ჩილიპოპოლიდამ ჰაზანლიკამდი ბოლგარიელები აღსდგენო და მსმალოს გარნიზონი იძულებული შეიქნაო, რომ ჩილიპოპოლიდამ წასულიყო.

ამავე გაზეთში იწერებიან ლონდონიდან, რომ ინგლისის სამინისტროს თავსმჯდომარე ლორდი ბიკონსწილდი მუდამ დღე დაიარება არსენალებში, ფაბრიკებში და ქარხნებში, საცა თოფ-იარაღსა და ტყვია-წამალს ამზადებენ და ყურს უგდებსო, რომ რაც შეიძლება საჩქაროთ მოამზადონ ყველაფერი, რაც ომიანობისათვის საჭირო არისო.

სევასტოპოლელი კორრესპონდენტი „მოსკოვის უწყებებისა“ ამ გაზეთში იწერება, რომ როცა ჩვენი ცეცხლის გემი „მესტა“ ოსმალოს ხომალდებს ეომებოდა ზღვაში, ამ ჩვენი გემიდან ნათლად დაინახესო, რომ მსმალოს ხომალდებზე ყველა კაპიტნები და მატროსები ინგლისელები იყვნენო.

საქართველო

დღისი

* * ამას წინათ ჩვენს გაზეთში იყო გამოცხადებული, რომ მსმალოს სომხეთიდან გადმოსახლებულ სომხებისათვის თფილისში 3 ათასი მანეთი მოაგროვესო. ღეს რუსულ გაზეთს „Голос“-ში დაბეჭდილი დებეშა გვატყობინებს, რომ ამ საქმისათვის, სამი კი არა, შეიღი ათასი მანეთი შეკრებილია ჩვენს ქალაქში.

* * თურქულის მოსარჩენად, რომელიც ასე გავრცელებულია ამჟამად თფილისის ახლო-მახლო სოფლებში, თვითონ თფილისში და განსაკუთრებით მართლის სოფლებში, ჩვენი „სასოფლოგანეთი“ შემდეგ საშუალებას ურჩევს: „მარილ წყალსადულებენ და როდესაც გაცივდება, ნელ-თბილით ფეხებსა, ჩლიქებს ბანენ, გაშლილ ბალახიან მინდორ ყამირ ადგილას აყენებენ, რომ ფეხები არ გაესვაროს; სოფელში აღარ შეჰყავთ, გარეთ უშვებენ, რადგან ღამის ნამი შევბას აძლევს. პირში შაბს აყრიან, უფრო უკეთესია ქაქლიინდი; ამას ჯერ ლერწმის მასრაში ჰყრიან და საცა სიწითლე და სიმსიენე აქვს, მასრაში შეუბერვენ და ზედ დაეყრება.“

* * ჩვენ გვითხრეს, რომ ზედ ძალიქის ცხვირის წინ, სოლოლაკის ზევით რომ

მკროყანისაკენ გზა მიდის, იმ გზაზე, ეს ერთი კვირა მეტი იქნება, რაც ერთი ვიღაც მოკლული კაცი აგდიაო და ამტელი ხანი პატრონი არაღინ ამოჩენია რომ მიწას ჩაბაროსო. ამბობენ, მკედარი საძაგელი სანახავი არისო: ქვები დაუყრიათ ზედ; პირი-სახე, მთელი ტანი ფეხებამდინ სულ ძაღლებს შეუჭამია; აყროლებულა და ისეთი სუნი სდისო ამ ახლო-მანლო ადგილებში რომ კაცს გავლა-გამოვლა უჭირსო.

ჩვენ შევიტყვით, რომ ადგილობრივ მამასახლისს მოუხსენებია ეს ამბავი ოფიცლისის უფზდის უფროსისათვის და ნება-რთვა უთხოვნია, რომ ეს მკედარი დასათვლონ. მაგრამ უფზდის უფროსს, როგორც გვითხრეს, თავის მხრით უბრძანებია მამასახლისისათვის, რომ ქალაქი შემოიტანე, გამოძიება უნდა მოგახდინოთ და მერე შეიძლება დასაფლავებო...

სანამ ყველა ამ ფორმალურ წესებს ასრულებდნენ, მანამ ის მძოვრი აყროლებს იქაურობას და—გამოძიებისათვის კი იმას ძელებიც აღარ დარჩება...

უცხო ქვეყნები

შპარტობული შტატები

ბელგიურს ვაზ. „Indépendance Belge“-ში არის ნიუ-იორკიდან გამოგზავნილი დეპეშა დაბეჭდილი, რომლიდანაც ვცნობთ, რომ იქ რკინის გზის მუშებისაგან მუშაობის შეწყვეტა თან-და-თან ძლიერდება და რომ სხვა მუშებშიაც თანაგრძობას ჰპოულობენ სინი. ეს მუშების არეულობა, რომელიც განსაკუთრებით სან-ჰრანსესკოში ერთობ გაძლიერებულია, თითქმის მთელს ჩრდილოეთის ამერიკას მოსდებია, გარდა მაშინგრანის, ჰილადელფის და ბალტიმორის ქალაქებისა, სადაც მშვიდობიანობას ფედერალური ჯარების შემწეობით იცვამენ.—მუშები თანამგზობობებს მაღალ ხალხშიაც ბევრს ჰპოულობენ, ამბობს შემო მოყვანილი გაზეთის ტელეგრაფმა. პოლიციამ ვერაფერი ვერა გააწყობა. ამათი საქმეში გარევა უფრო უვარესს შერება:—ხალხს უფრო აღელვებს და ისე საქმე არ თავდება, რომ ორი ან სამი კაცი არ შეიქმნეს შეტაკების მსხვერპლად. ნიუ-იორკის მცხოვრებლები ერთობ შეშინებული არიან, რადგან იქ საშინელს ხალხის არეულობას მოელოან. სამხედრო იარაღების ქარხნები (არსენალები) ჯარებით არის დაცემული: იციან, რომ იმათი ხალხი თუ აღელდა, გაცხარდა და

ერთხელაც თუ მოინდომა თავის უფლებების იარაღით დაცვა ის, მაშინვე იმ ქარხნებს ეცემა, რომ იქ შენახული იარაღით შეიარაღდეს. 23 ივლისს კრება ყოფილა, რომელზედაც ერთობ ცხელი სიტყვები წარმოთქმულა და გარდუწყვეტიათ, რომ მოიწვიონ დიდი მიტინგი და იმაზედ გარდაწყვიტონ მუშაობის შემწყვეტელი მუშებისათვის თანაგრძობის გამოცხადება.“ ხალხის არეულობა პონსილვანიის და ოგაიოს შტატებშიც გარდასულია. ამ უკანასკნელი შტატის ქ. პოლუმბიაში ხალხი თავს დასცემია მილიციას და ატეხილა სროლა; შვიდი მუშა მოუკლავთ და 25 დაუჭრიათ.—მეორე დღეს არსენალი გაუცარცაეთ. მმართველობა ისე შეშინებულია, რომ ბრძანება გამოუტია სამხედრო პარადების შეიარაღებისა ვინიცობა, რომ არეულობა უფრო გაძლიერდეს, ზღვიდამ დავიცოთ ქალაქი. აღმოსავლეთი შტატების მმართველობა დახმარებას ჰპირდებიან არეულობის დასამშვიდებლად.

ოსმალეთი

სტამბოლის სხვა და სხვა წრეების მდგომარეობაზე აი რას იწერებია ნემენც. ვაზ. „Politische Correspondenz“-ში. „სტამბოლის მცხოვრებლების ეხლანდელს მდგომარეობაზე ძნელად შეიძლება კაცმა რამე ნამდვილი ჰაზრი შეიღვიროს. მრთის საათის განმავლობაში რამდენჯერმე იცვლება ხალხის მდგომარეობა ხან სწყუხს, ღელავს, მმართველობას ჰკიცხავს და ხან წარმოუდგენელს აღტაცებაში მოსდის. ამას წინეთ რუსების ჯარების ბალკანის მთებზე გარდასვლის ამბავმა, ისეთს მდგომარეობაში ჩააგდო ხალხი, რომ მმართველობას ეგონა—უთუ არეულობა მოხდებოდა;—ვერავინ ვერ დააჯერა ხალხი, რომ რუსეთის ჯარები ღოღმა-ბახჩასთან არ მოსულან და რამდენიმე დღის შემდეგ თავთ სტამბოლშიაც შემოვლენ. ამის შემდეგ მოვიდა ამბავი, რომ რეუფ-ფაშამ საშინლათ დაამარცხა რუსები და ისევე ბალკანის მთებს იქით დააბრუნაო. ამ ამბის მოსვლის შემდეგ სტამბოლში ხმა დაჰყარეს, რომ ვითომც სამხრეთი არმიის სარდალი მ. ი. შმადლესობა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ჩერჩეზებმა დაატყვევესო და სტამბოლში მოჰყავთო. წარმოიდგინეთ თუ ამ ხმას რა შთაბეჭდილება ექნებოდა დაღონებულს სტამბოლელელებზე! ღიღის აღტაცებით მოელოდნენ „შმადლეს მტყვეს“, რომლისთვისაც საღვამს ამზადდნენ. ამ ამბავმა მაშინვე მოაგონა სულთანს მისი ვარსკვლავზე მკითხვის სიტყვები,

რომელსაც ამას წინათ ეთქვა, რომ თავთ რუსის იმპერატორს ექნებოდა ტყვეებული თქვენი აღმატებული ჯარები ბითაო და დაბორკილი 2-ს აკვისტოს სტამბოლში მოყვანილიო.

სამღვდლოების კრება თელავში *)

(დახასრულა)

სალამოთი, რვა საათზედ, კიდე შეიყარნენ მღვდლები გადაწყვეტილების ხელის-მოსაწერათ; ამ დროს მეც იმათში გავერიე და ყურს უგდებდი: ერთი ამბობდა: „მე ამ გადაწყვეტილების თანახმა არა ვარ და ვერც ხელს მოვაწერო“, მეორე ამბობდა: „მე ჩემ ბლოღოჩინს უყურებ: თუ იმან ხელი მოაწერა, მეც მოვაწერ და თუ არა და არც მე მოვაწერო“. მესამე იძახის, საქმე ხომ არ გამოვლიევით, რა დროს სიეზდია! მოიტათ, რაც უნდა, იყოს, ხელი მოვაწერო და ჩქარა შინ წავიდე!“ (არ დაივიწყოთ, რომ ეს უკანასკნელი სულ ხუთი წლის კურსოვნიკია და პირველ რაზრიადის მოსწავლეთაც ითვლებოდა; მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების წყალობით ბევრი მოხუცებულიებისათვის გადაუქარებია.)

მოკლეთ ვსთქვათ, თითქმის, ყველანი ამ აზრისანი იყვნენ, რომ ოღონდკი ჩქარა შინ წასულიყვენ და რაც უნდა ყოფილიყო, ხელს მოაწერდნენ, გარდა ექვსიოდ შვიდი მღვდლისა, რომელთაც ციფა უარი გამოაცხადეს ხელის მოწერაზედ. ამასზედ ამათ გამოვკითხე მიზეზი და აი ამათ რა მითხრეს:

ჩვენ ხელ როგორ უნდა მოვაწეროთ იმაზედ, რაზედაც ჯერ სწორეთ არ გვიფიქრია; ან რა პატიოსნება და გონიერობა ჩვენის მხრით ხელის მოწერა ამ გადაწყვეტილებაზედ, როდისაც ცხადათ ეხედავთ, რომ შედეგი ამ გადაწყვეტილებისა მვენებელია ჩვენი შეილებისათვის და არა სასარგებლო.

— მაინც როგორ? ვკითხე მე.
— როგორ და ისე, შიპასუხა ერთმა, რომ ეხლანდელმა ჩვენმა სიეზდმა არამც თუ არ დამტკიცა სასწავლებლის ახალი მოთხოვნილებაები, არამედ დაარღვია ისიც, რაც წინა სიეზდებში იყო დამტკიცებული!

სასწავლებელი აღტაცებით მოელოდა თქვენ კრებას, მღვდლებო და ბლაღოჩინებო, რადგან დარწმუნებული იყო, რომ რქვენგნით უფრო დიდ შემწეობას ელიო რსებოდა, ვიდრე უკანასკნელ კრებებზედგან, მაგრამ სამწუხაროდ, საქმემ სულ სხვა ნაირათ დაგვანახვა. საქმემ ნათლათ გვიჩვენა, რომ ეს უკანასკნელები უფრო

*) „დროება“, № 101 და 102.



სასარგებლონი ყოფილან სასწავლებლი-
სთვის, ვიდრე ეს გამოენილ-პირთ კრე-
ბა. მიზეზი რა არის ამის? მიზეზი
ჩემო მკითხველთო, გახლავთ ჩვენი ზო-
გიერთი მღვდლების ბრძოთ რწმუნება,
ხათრი და მინდობილობა ბლაღოჩინ-
დეკანოზებზედ, ზოგის კიდე გონებით
მსჯელობის სისუსტე. აბა ის მღვდელი
რას გარჩევდა კრებაში, რომელსაც
ჯერ რა რუსული ენა ეყურებოდა და
მეორე რო კრების გათავებამდის ტკბილი
განცხრობაში იყო და ათასში ერთხელ
წამოიძახებდა, „არა არ შეგვიძლიან!“
და მერე იმავე მდგომარობაში ჩავარდ-
ებოდა ხოლმე? მეორე კიდე მისჩერებო-
და კვდლის ლამპას და კრების დაშლამ-
დის სულ იმას შეყურებდა, შოთი ვკით-
ხობთ ამათ: რისთვის იყენენ ესინი აქ
მოსულნი: იმისთვის რა ამათ აქ დაეძი-
ნათ ან ლამპა ეშინჯათ, თუ სხვა საქმი-
სთვის?

აქათ თუ კარგათ, გათავდა 5 ივლისს
ეს სამღვდლო კრება თელავში, სადაც
ვაქირებდნენ ნამდვილათ დაამტკიცეს ვა-
ქირში ნათქვამი „არა“.
მე მიკვირს, რა ჩვენი სამღვდლოება-
ესე სუსტათ მოიქცა, შოთ უფრო, რა
ეს ამისთანა, მძიმე კითხვები დაუფიქრ-
ებლივ ხუთ საათში გადასწყვიტეს! აქ
სჯის დროს თითქმის ყველანი თანხმანი
იყენენ ხოლმე ერთი და იმავე აზრისა,
მაგრამ ორი საათის მოფიქრებამ სულ
გამოცვალა შეიდი თუ რვა მღვდელი,
რომელთაც უთანხმოება გამოაცხადეს წი-
ნათ დაყოლილ აზრებზედ: ეს ამისათვის
რა კარგა დაფიქრების შემდეგ დაინახეს
თავიანთი გადაწყვეტილობის უკანონობა
და მისი მანებლობა სასწავლებელზედ

მაშასადამე თუ ორი საათის დაფიქრებამ
ამ რვა კაცს თვალები ააჭყეტინა, უმჯე-
ლია, რა ორისა და სამი დღის ფიქრი
უფრო კარგათ გამოადვიებდათ ყველას
და ბევრს სასარგებლო საქმესაც გააკეთე-
ბინებდა მათ სასწავლებლის შესახებ.
მე მგონი ესლა სწავლა საზოგადო-
მობრუნებლად ყველასთვის. უკანას-
კნელი ჩვენმა გლეხებმაც კი შეიტყეს
მისი აუცილებელი საჭიროება და ამის-
თვის სცილობდნენ თავიანთი სასწავლებ-
ლები დაიროს და რითაც ღონისძიე-
ბა აქვთ შემწეობა მისკენ და მხარი დაუ-
ჭიროს! მაგრამ, სამწუხარო, ჩვენი
მღვდლები ასე არ უყურებენ თავიანთ
შვილებს მომავალი ბედნიერებას. მე
მგონი დროა დაუფიქრდეს სამღვდლო-
ება იმას, რა სწავლა აუცილებელი
ვარია და კარგა დაფიქრების შემდეგ, თუ
ნამდვილ ეს ასე დაინიშნოს, მაშინ რას
ემართლებს აილოს და იმ თავის მეტი
და უბრალო ხარჯიდან ცოტათოდენი მა-
კლოს და თავის შვილის განათლების
თვის გადადოს.

მნახველი
თელავი, 18 მკათათვეს

განსხვავებული

გამოსული და განათლებული მა-
ლი, რომელმაც იცის რუსული, ფრანგ-
ული, ანგლიური და ნემენცური, ამ-
ლევს უროკებს იფ ფასათ.
მსურველს ამ ქალის ნახვისა, შეუძ-
ლიან მიმართოს მადამ ძანონისს ტეტ-
რადვის სახლებში მკრავსკის ქუჩაზე.

ქილია და მანა,
თარგმნილი სპარსულიდან ქარ-
თულ ენაზედ მეფე მახანზისაზან
და გალექსილი საბა სულხან
მრგპლიანისაზან, სრულათ არის დაწე-
რილი და ყდამი ჩასმული. შასის გაგე-
ბა შეიძლება მელიქიშვილის სტამბაში.

„კეკეტი“

სარძეო სარდაფს „კეკეტი“, ყოველ
დღე ისყიდება; კარაქი, ნაღები, კამეტა
ნატვრო გოყველი, უღუღარი და
აღუღებული რძე და მაწონი.—
ამ ზაფხულს მსურველთ მოჯორშიაც
შეუძლიანთ მოითხოვონ ყველაფერი ის,
რაც აქ, ქალაქის სარდაფში, ისყიდება,
მხოლოდ საჭიროა, რომ დაჩინებმა წინ
და წინ გამოუცხადონ სარძეო სარდაფს
თავის სურვილი, რომ დაინიშნულ დროს
სახლზე მიუვიდესთ.
სარძეო სარდაფი „კეკეტი“ იმყოფება:
სასახლის ქუჩაზე, მუხუყემის პირდაპირ,
შაბუროვის სახლებში; სადაც უწინ ივა-
ნოვის ბიბლიოთეკა იყო.

პარიჟელ ახალგაზდა მალს მსურს
აძლიოს უროკები ფრანკუზულის ენის,
გრამმატიკისა და ლაპარაკისა.

მსურველს ადრესის შეტყობა შეუძ-
ლიან მკრავის რედაქციამ; აგრეთვე
მოჯორში, ბელაგვის სახლებში, საცა
დენერალის მთარეცის ოჯახობა დასგ.

მისაც ეჭირება კაცო, რომელმანც
იცის მუხლალტერის ანგარი-
ში, კანტორის გამგეობა ანუ
ვისაც უნდა საანგარიშო სხვა რაი-
მე საქის გამგებელი, შეუძლიან მიმარ-
თოს „დროების“ რედაქციამ.

რ.პ. შპა.	ლილა.	სალა.	II კ.	III კ.	ბელაგრაფი	ბიკა	ბიკა	მან. კაპ	მან. კაპ
თფილისი	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა თფილისიდან:				
მცხეთა	10 11	6 27	68	38	მუთაის, შოთ	1			
ბორი	11 58	9 43	40	123	ზორს, დუშეთს, სიღნაღს	50			
ბაშური	1 29	11 57	92	2 18	როსტოვს, მდგნას, მოსკოვს	2			
სურამი	1 44		4	42 2 46	პეტერბურგს, მარშავას	2			
ქვირილა	5 49		5	81 3 23	მსამალეში, შვეიცარიაში	3			
რიონი	6 47		6	75 3 75	იტალიაში და საფრანგეთში	3 50			
სამტრედია	7 41		7	73 4 29	ინგლისში	3 75			
აბსენაკი			8	57 4 76	უოზბა				
ფლი.	9 40		9	75 5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გა- რეთ, მუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. შუგდ. ორშ. და სამშ.				
შოთი	9 13				მ.შურს — ბარასკა და ორშ. ძახეთს — სამშ. და შაბ.				
აბსენაკი			1	18 - 66	ბ) მუთაისიდან:				
სამტრედია	11 16		2	6 1 14	თფილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მ.შურსგეთს — ორშ. და პარასკ.				
რიონი	12 13		3	4 1 69	ვიგნის გავზენარუსეთში				
ქვირილა	1 18	ლაშე	3	98 2 21	და სამზღვარ გარეთ:				
სურამი	5 12	1 10	5	33 2 96	ლია წიგნისა	4			
ბაშური	5 39	1 37	5	84 3 24	დაბეკილის (სამი მისხალი)	8			
ბორი	7 5	4 87	3	6 4 9					
მცხეთა	8 50	6 59	9	8 5 4					
თფილისი	9 31	7 56	9	7 5 42					
					პეტერბურგი, 25 ივლისს				
					მთლი. საახნ. ბანკისა				
					ბიროას ფურცლები:				
					მწილ. საახნ. ბანკისა				
					ბერსონის ბანკის (5 1/2)	83			
					მოსკოვის (5%)	90 50			
					აქციები:				
					მდგნის სავაჭრო ბანკის	158			
					შოთი-თფილ. რკინ. გზის				
					შავი ზღვის ცეცხ. გემების	465			
					ბაეკაზის და მუხუყემის	203			
					პირვ. საზღვევ. საზოგ.	735 50			
					პეტერბ. საზღვევ. საზ.	235 50			
					მოსკოვის საზღვევ. საზ.	268			
					თფილისი, 26 ივლისს				
					შვე. თფი. მანჯისა, ფთ.	120			
					შვეიდი წითელი.	1			
					ქერი ფუთი.	70			
					ბამბა შრევისა, ფუთი.	7			
					ამერიკისა, ფუთი.	8 50			
					მაკედონი, ბამბა ფთ.	7 80			
					მატული თუშური ფთ.	6			
					— მარაქმისა ფთ.	3 80			
					ამერიკის ნუბელი სტ.	2 20			
					ქონი, ფუთი.	5 50			
					ქონის სანთელი ფუთი.	6 20			
					სტერინის სანთელი, ფ.	12			
					ხორცი ძრახვისა, ლიტ.	54			
					— ცხვისა, ლიტრაჲ	54			
					სპირტი, გრადუსი	12			
					შაქარი, ბროც. ფუთი	7 80			
					— ფხვნილი ფუთი	7 50			
					შავი გრვალის, ფუთი.	25			
					შოთი ქუნჯუთისა, ფუთ.	9			
					მქრო 1/2 იმპერიალი.	7 97			